

თითოეული თქვენთაგანის დახმარებით სოლიდარობის ფონდმა უკვე სიმსივნით დაავადებული 276 ბავშვისა და ახალგაზრდისათვის დაამტკიცა დაფინანსება

საქართველოს სოლიდარობის ფონდის მე-13 პერიოდული ანგარიში. 2016 წლის 12 აგვისტო



სოლიდარობის ფონდის დაფუძნებიდან
დღემდე საქართველოში
სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი
და 22 წლამდე ახალგაზრდა
არ დაღუპულა
უსახსრობის გამო

4 წლის მაიკოს მკურნალობისათვის წარმოუდგენლად დიდი თანხა იყო საჭირო.

მაგრამ ბავშვის მკურნალობისათვის თქვენი დახმარებით სოლიდარობის ფონდი საერთო ჯამში 102 638 აშშ დოლარს ფარავს. მას უკვე წარმატებით ჩაუტარდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია თურქეთში მედიპოლ მეგას კლინიკაში.

ამავე მოცულობის თანხა მაიკოს მკურნალობისათვის ქალაქ თბილისის მერიამ დაფარა, რაც უდიდესი მხარდაჭერა იყო ოჯახისათვის. გარდა ამისა, ჯანდაცვის სამინისტრომ ბავშვის მკურნალობისათვის 7000 აშშ დოლარი, ხოლო დიმიტრი ცინცაძის ფონდმა მგზავრობის და ცხოვრების ხარჯები უზრუნველყო.

შევინარჩუნოთ ეს ისტორიული შედეგი
კიდევ უფრო მეტი ჩართულობით!

ქალბატონებო და ბატონებო,

წარმოგიდგენთ საქართველოს სოლიდარობის ფონდის საქმიანობის რიგით მე-13 პერიოდულ ანგარიშს, რომელიც 2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით მობილიზებულ ფინანსურ რესურსებს და აღნიშნულ პერიოდში სიმსივნით დაავადებული 22 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის დამტკიცებული დაფინანსების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ასახავს.

2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით, ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული 60 000-ზე მეტი თანამშრომლისა და 27 ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს სოლიდარობის ფონდში საერთო ჯამში 7 195 089 ლარი იქნა მობილიზებული.

უკვე მობილიზებული და სამომავლო პროგნოზული დონაციების გათვალისწინებით ფონდმა თქვენი მხარდაჭერით სიმსივნით დაავადებული 276 ბავშვისა და ახალგაზრდის მკურნალობისა და დიაგნოსტიკის დაფინანსება დაამტკიცა საერთო ჯამში 1 722 252 ლარის, 2 552 871 აშშ დოლარისა და 1 246 053 ევროს მოცულობით.

121 ბავშვისა და ახალგაზრდის სამედიცინო მომსახურება საქართველოში დაფინანსდა, ხოლო 155 შემთხვევაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება დამტკიცდა როგორც საქართველოში ასევე გერმანიის, ესპანეთის, თურქეთის, იაპონიის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის კლინიკებში.

სოლიდარობის ფონდის ამოქმედებიდან - 2014 წლის სექტემბრიდან დღემდე - საქართველოში უსახსრობის გამო სიმსივნით დაავადებული არც ერთი ბავშვი და ახალგაზრდა არ დაღუპულა, რაც კერძო, საჯარო, არასამთავრობო სექტორისა და თითოეული თქვენთაგანის ჩართულობის შედეგია.

მიუხედავად ფონდში განხორციელებული მზარდი დონაციებისა, სამწუხაროდ ფონდში მომართვიანობის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კიდევ მეტი მხარდამჭერისა და ორგანიზაციის ჩართულობა, რომ უწყვეტად შევძლოთ სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის საჭირო მკურნალობისა და დიაგნოსტიკის სტაბილური დაფინანსება, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ.

ჩართულობის კიდევ უფრო მეტად ხელშესაწყობად ჩვენ უკვე გავააქტიურეთ სოლიდარობის ფონდის საქველმოქმედო ნომერი 901 12 12 12 და ასევე მოქმედებს სატელეფონო აპლიკაცია „Solidarity Fund/სოლიდარობის ფონდის” Google და Apple მარკეტებიდან.

ერთად შექმნილი სიცოცხლის ისტორიები <3



13 წლის დათუნას ისტორია

13 წლის დათუნას საფრანგეთში, არმანდ ბიარდის კლინიკაში უკვე ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია, რომელიც წარმატებით დასრულდა.

თქვენი მხარდაჭერით ბავშვის მკურნალობისათვის საჭირო თანხის - 30 000 ევროს უდიდესი ნაწილი საქართველოს სოლიდარობის ფონდმა - 26 000 ევროთი დააფინანსა.

ჯანდაცვის სამინისტრომ ბავშვის მკურნალობისათვის 4 000 ევრო დამტკიცა, ხოლო დიმიტრი ცინცაძის ფონდმა ოჯახის მგზავრობის ხარჯები უზრუნველყო. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდგომ დათუნას და მის ოჯახს ბერი ანდრიას ფონდი უზრუნველყოფს თბილისში საცხოვრისით.



18 წლის ვიქტორის ისტორია

18 წლის ასაკში ვიქტორს უდიდესი სირთულეების გადალახვა მოუწია, მაგრამ ყველაფერი საოცარი სულის სიმტკიცით და მოთმინებით გაიარა. დღეს კი თავად თავისი უნიკალური პოზიტივით, ენერჯითა და გასაოცარი მუსიკალური ნიჭით უამრავ ადამიანს ულამაზებს ცხოვრებას!

თითოეული თქვენთაგანის დახმარებით სოლიდარობის ფონდი ვიქტორის მკურნალობისათვის საქართველოში და საფრანგეთში საერთო ჯამში 29 745 ლარს და 30 000 ევროს ფარავს.

საფრანგეთში მისი ოპერაცია წარმატებით დასრულდა და ის საქართველოში მალე დაასრულებს მკურნალობის სრულ კურსს.

ვიქტორის მკურნალობისათვის საფრანგეთში მგზავრობის ხარჯები და საქართველოში ჩატარებული რამდენიმე კვლევა დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდმა დააფინანსა, ხოლო ქიმიოთერაპიის კურსის დროს ვიქტორს და მის ოჯახს ბერი ანდრიას ფონდი უზრუნველყოფდა თბილისში საცხოვრისით.

სოლიდარობის ფონდის სიახლეები 2016 წლის ივნისი - ივლისი

სოლიდარობის ფონდში თანხის გადმორიცხვა უკვე სატელეფონო ნომრის საშუალებითაც არის შესაძლებელი!

0 901 12 12 12 ნომერზე დარეკვით შეგიძლიათ დაეხმაროთ ჩვენს ბავშვებს და მშობლებს, რომლებიც სიმსივნურ დაავადებას ებრძვიან.



სოლიდარობის ფონდის დასახმარებლად საქველმოქმედო ზარის ღირებულება მხოლოდ 1 ლარია.

აქვე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კომპანია სილქნეტს, რომელიც აღნიშნულ ნომერზე სილქნეტის აბონენტების მიერ განხორციელებული თითოეული ზარიდან თანხის 98%-ს, ანუ 1 ლარიდან 98 თეთრს გადმორიცხავს სოლიდარობის ფონდში.

რაც შეეხება სხვა ოპერატორებს, ბილანის ნომრებიდან განხორციელებული ზარის შემთხვევაში თითოეული ზარიდან თანხის 65% ანუ 65 თეთრი ჩაირიცხება სოლიდარობის ფონდში, მაგთის ნომრებიდან - თანხის 60% - ანუ თითოეული ზარიდან 60 თეთრი, და ჯეოსელის ნომრებიდან - თანხის 54% - ანუ თითოეული ზარიდან 54 თეთრი.

არსებული ფინანსური რეგულაციების ფარგლებში, ეს გახლავთ ის მაქსიმალური ჩარიცხვები, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ოპერატორებისგან. თუმცა, ჩვენ არაერთი სამუშაო შეხვედრა უკვე გავმართეთ და მომავალშიც აქტიურად ვიმუშავებთ ოპერატორ კომპანიებთან და სახელმწიფო უწყებებთან, რომ ზოგადად საქველმოქმედო ნომრებზე დარეკვის შემთხვევაში დაბეგვრა მინიმუმამდე დავიყვანოთ.

აღნიშნული, არამხოლოდ სოლიდარობის ფონდის საქმიანობის, არამედ - საქართველოში მოქმედი ყველა საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება.

საბერძნეთში მოღვაწე მსოფლიოში ცნობილ ფილანტროფთან თანამშრომლობით მემორანდუმი



14 ივლისს, საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, გაფორმდა თანამშრომლობითი მემორანდუმი ცნობილი ფილანტროპისა და მეცენატის მარიანა ვარდინოიანის საქველმოქმედო ფონდ „ელპიდას“, ათენში სიმსივნით დაავადებული ბავშვების ჰოსპიტალ „აია სოფიას“, საქართველოს სოლიდარობის ფონდსა და იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს შორის.

საქართველოს სოლიდარობის ფონდის ხელმძღვანელმა მარიამ ჯაშმა და მარიანა ვარდინოიანისმა, რომელიც გახლავთ გაერო-ს კეთილი ნების ელჩი და მსოფლიოში ცნობილი ფილანტროპი ბავშვთა ონკოლოგიის საკითხებში, განიხილეს ორი ქვეყნის ფონდებსა და შესაბამის კლინიკებს შორის თანამშრომლობის არაერთი კონკრეტული მიმართულება, მათ შორის, ვარდინოიანისის ფონდის ხელშეწყობით მოქმედ კლინიკებში სიმსივნით დაავადებული ქართველი ბავშვების მკურნალობის საკითხი.

აღნიშნულის გარდა, მემორანდუმი ითვალისწინებს ქართველ და ბერძენ კოლეგებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, გაცვლით ვიზიტებს „აია სოფიასა“ და იაშვილის კლინიკებში მოღვაწე ექიმებს შორის, ქართული პერსონალის ტრეინინგსა და მრავალმხრივ სამეცნიერო თანამშრომლობას. მარიანა ვარდინოიანისის ხელშეწყობით ათენის ბავშვთა კლინიკაში უკვე 25 წელია მოქმედებს ბავშვთა ონკოლოგიისა და ჰემატოლოგიის დეპარტამენტი, რომელიც ყველა თანამედროვე დიაგნოსტიკურ და სამკურნალო სერვისს სთავაზობს სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს.

ცერემონიის ფარგლებში, ქ-ნ მარიანას გადაეცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ტიტულის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მას მსოფლიოში ბავშვთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საქმეში შეტანილი წვლილისა და პედიტრიულ ონკოლოგიაში საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის ინიცირებისათვის მიენიჭა.



საბერძნეთში ქართულ დიასპორასთან შეხვედრა



16 ივლისს საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით ათენში გაიმართა შეხვედრა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მარიამ ჯაშმა დეტალურად ისაუბრა ათენში 14 ივლისს ცნობილ ბერძენ ფილანტროპთან მარიანა ვარდინოიანისთან დაწყებული თანამშრომლობისა და სოლიდარობის ფონდის საქმიანობაში ქართული დიასპორის ჩართულობის შესაძლებლობებზე.

შეხვედრაზე არაერთი მნიშვნელოვანი წინადადება და მზაობა გაჟღერდა ჩვენი თანამემამულეების მხრიდან, თუ რა დახმარება შეიძლება გაუწიონ სოლიდარობის ფონდს სიმსივნით დაავადებული ბავშვების თანადგომისათვის - როგორც ფინანსური რესურსების მობილიზების, ასევე ათენში ქართველი ბავშვების სამკურნალოდ გამგზავრების შემთხვევაში უშუალოდ მკურნალობის პერიოდში. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ათენში ქართული დიასპორის ინიციატივით მოქმედი სამედიცინო ცენტრის საქმიანობა, რომელმაც 4000-ზე მეტ ქართველ პაციენტს უკვე გაუწია სამედიცინო მომსახურება.



ასევე საუბარი შეეხო საქართველოში ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებებით უკვე წარმატებით განხორციელებულ რეფორმებსა და რამდენიმე კონკრეტულ საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ მტკივნეული რჩება ჩვენი დიასპორისთვის. მადლობას ვუხდით შეხვედრის თითოეულ მონაწილეს დაინტერესებისა და სოლიდარობის ფონდის საქმიანობის დახმარების სურვილისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით საბერძნეთში საქართველოს ელჩს ბატონ იოსებ ნანობაშვილს და მის გუნდს ათენში ქართულ დიასპორასთან უაღრესად საინტერესო შეხვედრის ორგანიზებისა და საბერძნეთში საქართველოს სოლიდარობის ფონდის პირველი მნიშვნელოვანი თანამშრომლობითი მემორანდუმის მომზადების პროცესში გაწეული მხარდაჭერისათვის.

ახალი ინიციატივები სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და 22 წლამდე ახალგაზრდების მხარდასაჭერად

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში სოლიდარობის ფონდის მხარდასაჭერად ჩატარებული ღონისძიება

თბილისში 1-5 ივლისს ჩატარებული, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე ყოველწლიური სესიის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ქართული ხელოვნების ნიმუშების გამოფენა გაყიდვა მოეწყო.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი გახლდათ ქართული სოფლის მეურნეობის ნაწარმი, ასევე, სხვადასხვა ქართველი მხატვრების მიერ შექმნილი ფერწერული ნამუშევრები და ხელნაკეთი ნივთები. გამოფენა-გაყიდვა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიებიდან შემოსული თანხა კი საქართველოს სოლიდარობის ფონდში გადმოირიცხა სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და 22 წლამდე ახალგაზრდების დასახმარებლად.

მადლობას ვუხდით ღონისძიების ორგანიზატორებსა და თითოეულ მონაწილეს ამ უმნიშვნელოვანესი ინიციატივისა და ჩვენი ბავშვების მხარდაჭერისათვის.



შპს ჯორჯიან ექსპრესი DHL EXPRESS-ისა და DHL GLOBAL FORWARDING/FREIGHT-ის ექსკლუზიური აგენტი საქართველოში სოლიდარობის ფონდთან თანამშრომლობის გერმანიის ფრაიბურგის კლინიკის ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

პარტნიორობის ფარგლებში DHL EXPRESS-ი უზრუნველყოფს სოლიდარობის ფონდის პაციენტების ანალიზების ტრანსპორტირებას გერმანიაში განსაკუთრებული შეღავათიანი ფასით. პარტნიორობის დაწყებისთანავე DHL EXPRESS-ს გათავისებული ჰქონდა ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის არსი და მნიშვნელობა და კომპანიის მხრიდან მაქსიმალური ყურადღება ეთმობა თითოეული პაციენტის ანალიზის დროულ, საიმედო და უსაფრთხო ტრანსპორტირებას. მადლობას ვუხდით DHL EXPRESS-ს ამ უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერისთვის.

საქართველოს სოლიდარობის ფონდსა და სარეკლამო კომპანია "პრემიუმ ვებ სოლუშენს" შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის ფარგლებში კომპანია ხელს შეუწყობს სოლიდარობის ფონდისთვის თანხების მობილიზებას სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად. Adcoin არის მობილური სარეკლამო აპლიკაცია. მობილურ ტელეფონზე სარეკლამო ბანერების ნახვით მომხმარებელს შეუძლია გამოიმუშაოს თანხა, რომლის დახარჯვაც შესაძლებელია აპლიკაციაში არსებული მაღაზიების მეშვეობით. თქვენს მიერ დაგროვილი თანხით შესაძლებელია მობილურის ბალანსის შევსება, კინოთეატრის ბილეთების შეძენა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქველმოქმედება.



EXCELLENCE. SIMPLY DELIVERED.



ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობითი მემორანდუმების ფარგლებში უკვე შემოუერთდნენ საქართველოს სოლიდარობის ფონდს

- „ლიბერთი“ ბანკი
- „საქართველოს ბანკი“
- „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“
- თი-ბი-სი ბანკი
- კომპანია „ყაზტრანსგაზი“
- მთის კურორტების განვითარების სააგენტო
- კომპანია Gulf
- საზოგადოებრივი მაუწყებელი
- შსს მომსახურების სააგენტო
- თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი
- საქართველოს ნეიროგანვითარების ცენტრი
- საქართველოს ლიფტების კომპანია
- სასტუმრო „ვინოტელი“
- სასტუმრო „გრაკო მეტეხი“
- DHL Express
- „რაკია ჯგუფის“ 3 კომპანია „რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი“, „რაკინ დეველოპმენტი“, „რაკინაფთაუნ დეველოპმენტი“
- კომპანია Lemondo
- კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
- ტელეკომპანია „იმედი“
- კომპანია Eastern Promotion
- მკვა მახარაძის საბალეტო სტუდია
- კომპანია GINO Paradise
- სამედიცინო ცენტრი „ლანცეტი“
- GPI ჰოლდინგი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
- კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი
- საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
- Premium Web Solution

საჯარო სექტორის 60 000-ზე მეტი თანამშრომლისა და 27 კომპანიის დახმარებით - თქვენი მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა

- 276 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის საერთო ჯამში 1 722 252 ლარის, 2 552 871 აშშ დოლარისა და 1 246 053 ევროს მოცულობის დაფინანსების დამტკიცება.
- არც ერთი ბავშვი და ახალგაზრდა 21 წლის ასაკის ჩათვლით, რომელიც ონკოლოგიური დაავადების წინაშე აღმოჩნდება არ რჩება ჩვენი დახმარების გარეშე - დაფუძნებიდან დღემდე ფონდში შემოსული 276 პაციენტის პროფილური განცხადება უკვე დამტკიცებულია.
- 2016 წლის 31 ივლისის მდგომარეობით საქართველოს სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედმა კომისიამ 28 სხდომა გამართა და ფონდის დახმარება დამტკიცებულია 18 წლის ჩათვლით 237 ბავშვისა და 19-21 წლის ასაკის 39 ახალგაზრდისათვის.
- თქვენი დახმარებით ფონდმა 121 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საქართველოში დააფინანსა მათ შორის ქიმიო-თერაპიის, ონკო-ქირურგიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიის ღირებულებაც, რომელიც სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების ლიმიტებს.
- 155 ბავშვი და ახალგაზრდა კი დაფინანსდა როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ - გერმანიის, ესპანეთის, თურქეთის, იაპონიის, ისრაელის, იტალიისა და საფრანგეთის კლინიკებში ისეთი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რომელიც საქართველოში დღეისათვის ვერ ტარდება ან ექსპერტული შეფასებით საზღვარგარეთ სამედიცინო სერვისის ჩატარების აუცილებლობისათვის კონკრეტული არგუმენტაცია არსებობს (ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, პედიატრიულ ასაკში სხივური თერაპია, განსაკუთრებული სირთულის ქირურგიული ოპერაციები).
- თქვენივე მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა კერძო და არასამთავრობო სექტორის მზარდი ჩართულობისათვის ძლიერი საფუძვლების შექმნა. საჯარო მოხელეების მიერ სოლიდარობის ფონდისათვის შექმნილი პლატფორმის გარშემო უკვე გაერთიანდა 27 კომპანია და ორგანიზაცია.
- ცხრილის სახით წარმოგიდგინთ ფონდის მიერ დამტკიცებული 276 ბენეფიციარის ასაკობრივ და დიაგნოსტიკურ პარამეტრებს ფონდის მიერ დამტკიცებული თანხების დეტალურ ანგარიშთან ერთად.

2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით განხილული და დაფინანსებული განცხადებები

საზღვარგარეთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით დაფინანსებული აპლიკაციები

პაციენტის მონაცემები		სქესი	დიაგნოზი ფორმა #100-ის მიხედვით	მკურნალობის საერთო ღირებულება	ფონდიდან მოთხოვნილი და დამტკიცებული დაფინანსება
#	ასაკი				
1	3 თვის	მამრ.	ახალშობილთა ნაწლავური გაუვალობა, დაუზუსტებელი დიაგნოზი - დაფინანსდა დიაგნოსტიკა.	7 000 აშშ დოლარი	7 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
2	3 თვის	მდედ.	ლიმფანგიომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	15 000 აშშ დოლარი	7 500 აშშ დოლარი (თურქეთი)
3	5 თვის	მდედ.	ანემია დაუზუსტებელი - დაფინანსდა დიაგნოსტიკა	15 000 აშშ დოლარი	4 381 აშშ დოლარი (თურქეთი)
4	6 თვის	მამრ.	თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა მასალის ტრანსპორტირება საზღვარგარეთ დიაგნოსტიკის მიზნით	49 აშშ დოლარი	49 აშშ დოლარი (გერმანია)
5	7 თვის	მდედ.	კავერნოზული ჰემანგიომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	33 260 აშშ დოლარი	6 440 აშშ დოლარი (თურქეთი)
6	1	მდედ.	ქვედა ქუთუთოს წარმონაქმნი (ჰემანგიომა) - საქართველოში ქირურგიული ოპერაციის ჩატარებაზე პაციენტს უარი ეთქვა და გადაყვანილ იქნა საზღვარგარეთ, სადაც ჩატარდა ოპერაცია.	13 440 ევრო	8 440 ევრო (თურქეთი)
7	1	მამრ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - მარჯვენა მხრის მிடამოს რბილქსოვილოვანი სარკომა. საზღვარგარეთ დაფინანსდა დიაგნოსტიკა ლოკალური თერაპიის შემდგომი განსაზღვრის მიზნით. პაციენტისათვის ასევე დაფინანსებულია ქიმიოთერაპიის რამოდენიმე კურსი საქართველოში.	5 926 ევრო, 7 000 აშშ დოლარი და 15 497 ლარი	5 926 ევრო და 5000 აშშ დოლარი (გერმანია, ესპანეთი); 11872 ლარი (საქართველო)
8	1	მდედ.	მეორადი თრომბოციტოპენია, დაუზუსტებელი გენეზის - დიაგნოზის დაზუსტების მიზნით დაფინანსდა დიაგნოსტიკური კომპონენტი საზღვარგარეთ.	34 600 აშშ დოლარი	10 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
9	2	მამრ.	ქრონიკული მიელიოდური ლეიკემია; დაავადების არტიპიური მიმდინარეობის და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის გამო საჭირო გახდა დამატებითი კვლევების ჩატარება - დაფინანსდა დიაგნოსტიკა.	7000 აშშ დოლარი	5 500 აშშ დოლარი (თურქეთი)
10	1	მამრ.	სისხლმზადი სისტემის სიმსივნე დაუზუსტებელი დიაგნოზი - პირველ ეტაპზე პაციენტს დაუფინანსდა დიაგნოსტიკა და გენეტიკური კვლევა საზღვარგარეთ -თურქეთში. თუმცა დღემდე საბოლოო დიაგნოზი გაურკვეველია. დიაგნოზის საბოლოო ვერიფიცირებისთვის ფონდმა დაამტკიცა დამატებითი დაფინანსება მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ ცენტრში - გერმანიის კლინიკაში.	46 000 აშშ დოლარი; 20 000 ევრო	36 000 აშშ დოლარი (თურქეთი); 20 000 ევრო (გერმანია)
11	1	მდედ.	თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრის სიმსივნე - დაავადების მძიმე მიმდინარეობიდან გამომდინარე, მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით დაფინანსდა გენეტიკური კვლევა. კვლევების მიმდინარეობისას ასევე საჭირო გახდა მედიკამენტური მკურნალობის ჩატარება ადგილზე, დაფინანსდა მედიკამენტური მკურნალობა საქართველოში.	23 373 ევრო; 37 516 ლარი	18 373 ევრო (გერმანია); 27 165 ლარი (საქართველო)
12	1	მამრ.	თირკმელზედა ჯირკვლის სიმსივნე - დაფინანსდა ქიმიოთერაპია, დიაგნოსტიკა საქართველოში, ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ.	41773 ლარი; 15 000 ევრო	28 649 ლარი (საქართველო); 15 000 ევრო (გერმანია)
13	2	მდედ.	დაუზუსტებელი დიაგნოზის მოცულობითი წარმონაქმნი, საზღვარგარეთ დადგინდა ტერატომა - საზღვარგარეთ დაფინანსდა დიაგნოსტიკური კომპონენტი და ქირურგიული ოპერაცია, ოპერაციის შემდგომი დიაგნოსტიკა.	109 770 აშშ დოლარი	54 670 აშშ დოლარი (ისრაელი)

14	2	მდედ.	ავთვისებიანი ჰისტოციტოზი - პირველ ეტაპზე დიაგნოზის დაზუსტების მიზნით დაფინანსდა დიაგნოსტიკის კომპონენტი და ადგილზე გადაუდებელი ქიმიოთერაპია იმ მედიკამენტით, რომელიც საქართველოში არ არის რეგისტრირებული. განიხილებოდა ბავშვისათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება ქალაქ თბილისის მერიასთან ერთად, თუმცა ტრანსპლანტაციის ჩატარება გადავადდა ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესების გამო. დაფინანსდა ძვირადღირებული მედიკამენტი.	39 065 აშშ დოლარი; 1029 ევრო	26 065 აშშ დოლარი; 1029 ევრო (თურქეთი)
15	2	მამრ.	აპლაზიური ანემია, დაუზუსტებელი გენეზის - დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ტრანსპლანტაციის წინა პერიოდში ჩასატარებელი იმუნოსუპრესიული თერაპია, რომელიც საქართველოში ვერ ხორციელდება. ასევე ანტიმიკრობული მედიკამენტური თერაპია მრავალჯის. დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია ქალაქ თბილისის მერიასთან ერთად. პაციენტს დაუფინანსდა ასევე მედიკამენტი და აკომოდაცია.	252 325 აშშ დოლარი;	157 325 აშშ დოლარი (თურქეთი)
16	2	მამრ.	წინამდებარე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე, ტერატომა - დაფინანსდა საზღვარგარეთ ქირურგიული ოპერაცია. ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა დაფინანსდა საქართველოში.	22 100 ევრო და 41 441 ლარი	12 100 ევრო (თურქეთი) და 33 806 ლარი (საქართველო)
17	2	მდედ.	გავა - კუდუსუნის მიდამოს ავთვისებიანი ტერატომა, ყვითრის პარკის სიმსივნე - დაფინანსდა რეზიდუალური სიმსივნური მასის ქირურგიული ამოკვეთა საზღვარგარეთ. ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა - საქართველოში.	22 000 აშშ დოლარი და 27 895 ლარი	22 000 აშშ დოლარი (თურქეთი) 22 652 ლარი (საქართველო)
18	2	მამრ.	ჰემანგიომა მედიასტინუმის სივრცეში გავრცელებით - დაფინანსდა დიაგნოსტიკური კომპონენტი და ქირურგიული ოპერაცია.	35 000 აშშ დოლარი	35 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
19	2	მამრ.	მწვავე მეგაკარობლასტური ლეიკემია - დამტკიცდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება, რომელიც იგეგმება იტალიაში.	85 000 ევრო	75 000 ევრო (იტალია)
20	2	მამრ.	მწიფე ტერატომა. ინტრასპინალური, ექსტრადურული, რეტროპერიტონეალური გავრცელებით - სიმსივნური დაზიანებით გამოწვეული ნევროლოგიური მდგომარეობისათვის დაფინანსდა დიაგნოსტიკა და სარეაბილიტაციო მასალა საზღვარგარეთ; სარეაბილიტაციო მკურნალობა დაფინანსდა საქართველოში.	9 295 აშშ დოლარი; 1408 ლარი;	7 405 აშშ დოლარი (თურქეთი); 700 ლარი (საქართველო)
21	2	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია; პაციენტს განუვითარდა მეტასტაზური დაზიანება, რის გამოც საჭირო გახდა სათესლე ჯირკვლების ქირურგიული ოპერაცია. მშობლის ინფორმაციით ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ოჯახისთვის ინფორმაცია არ იყო მიწოდებული დროულად. რის გამოც მშობელმა მოითხოვა მკურნალი ექიმის შეცვლა, რაც ასევე შეუძლებელი აღმოჩნდა დღევანდელი მდგომარეობის გამო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქიმიოთერაპიის დაფინანსება ოჯახმა ითხოვა თურქეთის კლინიკაში.	25 000 აშშ დოლარი	20 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
22	2	მამრ.	ჰისტოციტური ლიმფომა - დაფინანსდა ძვირადღირებული მედიკამენტი რომლის შექმნა მოხდა საზღვარგარეთ.	8 000 აშშ დოლარი	5 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
23	2	მამრ.	ეპიდერმოიდული კისტა - პაციენტმა თურქეთში ჩაიტარა ოპერაცია, ფონდმა დააფინანსა ავიაბილეთის თანხა.	552 ლარი	552 ლარი (თურქეთი)
24	2	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა რადიოთერაპია	11 500 ევრო	7 500 ევრო (თურქეთი)
25	2	მამრ.	პროსტატის ემბრიონული რაბდომიოსარკომა - თავდაპირველად დამტკიცდა ქირურგიული ოპერაციის დაფინანსება საზღვარგარეთ, მაგრამ ჩატარდა მხოლოდ დიაგნოსტიკა. ასევე დაფინანსდა ქიმიოთერაპიის რამდენიმე კურსი საქართველოში	60 313 ლარი; 32 846 აშშ დოლარი	48 272 ლარი (საქართველო); 6 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
26	2	მდედ.	ნეფრობლასტომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია, რისი ჩატარებაც ვერ მოხერხდა საქართველოში	28 736 აშშ დოლარი; 1158 ლარი	14 368 აშშ დოლარი; (თურქეთი); 3846 ლარი (საქართველო)
27	2	მდედ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია	50 000 ევრო	25 000 ევრო (გერმანია)
28	3	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა ნეიროქირურგიული ოპერაცია, დიაგნოსტიკა და პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია საზღვარგარეთ. ასევე დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში.	40165 ევრო, 39 280 აშშ დოლარი; 10325 ლარი	36163 ევრო, 29280 აშშ დოლარი (თურქეთი) 5543 ლარი (საქართველო)

29	3	მდედ.	ქორიოიდალური გარსის (თვალის გარსის) ავთვისებიანი სიმსივნე (რეტინობლასტომა ან ჰამარტომა) ბადურის მეორადი ჩამოშლით. დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ქირურგიული ჩარევა, რომელიც საქართველოში ვერ ჩატარდა.	27,250 აშშ დოლარი	17250 აშშ დოლარი (თურქეთი)
30	3	მდედ.	ვილმის სიმსივნე პულმონური მეტასტაზებით - დამტკიცდა ქირურგიული ოპერაციის დაფინანსება საზღვარგარეთ (19200 ევროს მოცულობით), რომელიც საქართველოში ვერ ტარდებოდა, თუმცა ოპერაციის-წინა დიაგნოსტიკის შემდეგ ქირურგიული და რადიოთერაპიული ჩარევა გადაიდო. ასევე დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში.	4 000 აშშ დოლარი და 29 942 ლარი	4 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 15 922 ლარი (საქართველო)
31	3	მდედ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა რეზისტენტული ფორმის ლეიკემიის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის წინ, ასევე დონორის თანხა; დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია.	206 638 აშშ დოლარი	102 638 აშშ დოლარი (თურქეთი)
32	3	მამრ.	რეტროპერიტონეული და მედიასტინური გავრცელების სიმსივნე - დაფინანსდა სიმსივნური მასის რეზექცია - ქირურგიული ოპერაცია საბოლოო დიაგნოსტიკის მიზნით. დაფინანსება დამტკიცებულია, პირველ ეტაპზე თურქეთის კლინიკაში ოპერაცია ვერ ჩატარდა. ოჯახის თხოვნით მოხდა თანხის გადამისამართება რუსეთის კლინიკაში, სადაც სპეციალისტებთან შეთანხმებით დაგეგმილია ქირურგიული მკურნალობა.	30 000 აშშ დოლარი; 250 ევრო	25 000 აშშ დოლარი; 250 ევრო (თურქეთი, რუსეთი)
33	3	მამრ.	უცნობი ქცევის სიმსივნე - პირველ ეტაპზე დაფინანსდა მასალის ტრანსპორტირება გერმანიის კლინიკაში; ხოლო შემდეგ დაფინანსდა დიაგნოსტირება რისთვისაც ბავშვი გაემგზავრა გერმანიის კლინიკაში.	107 ლარი; 15 000 ევრო	107 ლარი (გერმანია); 7 500 ევრო
34	4	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე (ეპენდიმომა II) - დაფინანსდა პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია.	17 930 ევრო	9 930 ევრო (თურქეთი)
35	4	მდედ.	იუნგის სარკომა (ძვლის ავთვისებიანი სიმსივნე) - თავდაპირველად მკურნალობა ჩატარებული იყო თურქეთში, დინამიკის შესაფასებლად დაფინანსდა დიაგნოსტიკური ინტერვენცია საზღვარგარეთ, ხოლო შემდგომ ქიმიოთერაპია საქართველოში.	1 635 ევრო; 18913 ლარი	1 635 ევრო (თურქეთი); 11 391 ლარი (საქართველო)
36	4	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა სხივური თერაპია საზღვარგარეთ; დიაგნოსტიკა და მედიკამენტური მკურნალობა დაფინანსდა საქართველოში.	32 685 აშშ დოლარი; 1320 ლარი	28 500 აშშ დოლარი (თურქეთი); 1320 ლარი (საქართველო)
37	4	მამრ.	მარცხენამხრივი ნეფრობლასტომა მე-4 სტადია - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში, ხოლო ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ.	25 000 აშშ დოლარი და 34 394 ლარი	21 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 21 323 ლარი (საქართველო)
38	2	მამრ.	ჰეპატობლასტომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია და ღვიძლის ტრანსპლანტაცია; ასევე დაფინანსდა დიაგნოსტიკა და ქიმიოთერაპია საქართველოში.	106 172 აშშ დოლარი; 30 829 ლარი	91 172 აშშ დოლარი (თურქეთი); 17 097 ლარი (საქართველო)
39	4	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა დიაგნოსტიკა.	6300 აშშ დოლარი	6300 აშშ დოლარი (თურქეთი)
40	4	მდედ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა რადიოთერაპია და მასთან დაკავშირებული ქიმიოთერაპია საზღვარგარეთ, მედიკამენტური მკურნალობა და დიაგნოსტიკა საქართველოში.	37 710 ევრო; 2675 ლარი	27 710 ევრო (თურქეთი); 1475 ლარი (საქართველო)
41	4	მამრ.	მუცლის ღრუს უცნობი ქცევის სიმსივნე - დაფინანსდა დიაგნოსტიკა	7 700 აშშ დოლარი	4700 აშშ დოლარი (თურქეთი)
42	4	მამრ.	თალასემია - დაფინანსდა მასალის ტრანსპორტირება საზღვარგარეთ დიაგნოსტიკისთვის.	56 აშშ დოლარი	56 აშშ დოლარი (აშშ)
43	4	მამრ.	რეტროპერიტონეალური სივრცის სიმსივნე; ნეირობლასტომა - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია, ქიმიოთერაპია საქართველოში, ასევე დიაგნოსტიკა და ქიმიოთერაპია საზღვარგარეთ	52 275 ლარი; 53 901 ევრო	45 508 ლარი (საქართველო); 34 475 ევრო (ესპანეთი)
44	4	მდედ.	ნეფრობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია საქართველოში, ხოლო დიაგნოსტიკა საზღვარგარეთ	20 351 ლარი; 1500 აშშ დოლარი	9 259 ლარი (საქართველო) 1500 აშშ დოლარი (თურქეთი)

45	5	მამრ.	ვილმის სიმსივნე - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ ორჯერ; მედიკამენტური მკურნალობა და დიაგნოსტიკა საქართველოში.	21 550 ევრო; 13 767 ლარი	26 550 ევრო (თურქეთი) 9 004 ლარი (საქართველო)
46	5	მდედ.	თვალბუდის ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა დიაგნოსტიკა საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში.	3 300 ევრო და 11016 ლარი	3 300 ევრო (თურქეთი); 5206 ლარი (საქართველო)
47	5	მამრ.	თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე, მედულობლასტომა - დაფინანსდა სხივური თერაპია საზღვარგარეთ; ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა - საქართველოში.	25 000 ევრო; 13 171 ლარი	25 000 ევრო (თურქეთი); 10 707 ლარი (საქართველო)
48	5	მდედ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - პაციენტი დავალიანების გამო ვეღარ იგრძელებდა მკურნალობას თურქეთის კლინიკაში, სადაც მას ღვიძლის ტრანსპლანტაცია ჩაუტარდა. დაფინანსდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტრანსპლანტაციის შემდგომი მკურნალობა და დინამიკაში საკონტროლო კვლევები.	15 000 აშშ დოლარი	15 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
49	5	მამრ.	ანაპლასტიური ეპენდიმომა- დაფინანსდა კვლევები და სტაციონარული მკურნალობა საქართველოში, ხოლო ქირურგიული მკურნალობა საზღვარგარეთ. რეზექციის შემდეგ დაფინანსდა შუნტირება.	1 110 ლარი; 18 000 აშშ დოლარი;	1110 ლარი; 12 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
50	5	მამრ.	IV პარკუჭის ეპენდიმომა - დაფინანსდა გერმანიაში გამოსაკვლევად მასალის ტრანსპორტირება. ქიმიოთერაპია, დიაგნოსტიკა საქართველოში	13 284 ლარი	9 115 ლარი (საქართველო; გერმანია)
51	5	მამრ.	აპლაზიური ანემია - დაფინანსდა მასალის საზღვარგარეთ ტრანსპორტირება დიაგნოსტიკის მიზნით	56 აშშ დოლარი	56 აშშ დოლარი (აშშ)
52	5	მამრ.	აპლაზიური ანემია - დაფინანსდა მასალის საზღვარგარეთ ტრანსპორტირება დიაგნოსტიკის მიზნით	56 აშშ დოლარი	56 აშშ დოლარი (აშშ)
53	5	მდედ.	უცნობი ქცევის სიმსივნე - დაფინანსდა ბიოფსია და მასალის საზღვარგარეთ ტრანსპორტირება დიაგნოსტიკის მიზნით	7 470 ლარი; 49 აშშ დოლარი	5 079 ლარი (საქართველო); 49 აშშ დოლარი (გერმანია).
54	5	მდედ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია საქართველოში და მასალის გაგზავნა დიაგნოსტიკისათვის გერმანიაში	14 620 ლარი	9 615 ლარი(გერმანია; საქართველო)
55	5	მამრ.	თანდაყოლილი ნეიტროპენია, აგრანულოციტოზი - დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია; დიაგნოსტიკა.	201 500 აშშ დოლარი; 2580 ევრო	166 500 აშშ დოლარი; 2580 ევრო (თურქეთი)
56	6	მამრ.	ალევოლარული რაბდომიოსარკომა - დაფინანსდა სხივური თერაპია საზღვარგარეთ; ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში.	17 500 აშშ დოლარი და 15652 ლარი	17 500 აშშ დოლარი (თურქეთი) და 8589 ლარი (საქართველო)
57	6	მამრ.	მედულობლასტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია, დიაგნოსტიკა და ნეიროქირურგიული ოპერაცია საქართველოში და დამტკიცდა დაფინანსება სხივური თერაპიისა და ნეიროქირურგიული ოპერაციისათვის საზღვარგარეთ. დაფინანსდა რადიოლოგიური კვლევები, ქიმიოთერაპია საქართველოში	36 800 აშშ დოლარი და 52 833 ლარი	36 800 აშშ დოლარი (თურქეთი) და 35 867 ლარი (საქართველო)
58	6	მდედ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა სხივური თერაპია და მასთან დაკავშირებული ქიმიოთერაპია საზღვარგარეთ. დაფინანსდა დიაგნოსტიკა საქართველოში.	31 000 ევრო; 3300 აშშ დოლარი; 2 270 ლარი.	28 500 ევრო; 3300 აშშ დოლარი (თურქეთი); 1 690 ლარი (საქართველო)
59	6	მდედ.	მიელოიდური ლეიკემია - დაფინანსდა ტრანსპლანტაციის შემდგომი დიაგნოსტიკა და მკურნალობა.	2500 ევრო	2500 ევრო (იტალია)
60	6	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - პაციენტმა გერმანიის კლინიკაში ქიმიოთერაპიის კურსი ჩაიტარა ოჯახის დაფინანსებით. დაფინანსდა რადიოთერაპია და უკიდურესი ფინანსური პრობლემის გამო ოჯახის თხოვნით დაფინანსდა აკომოდაციის ხარჯები.	13 813 ევრო;	13 813 ევრო (გერმანია)
61	6	მდედ.	თავის ტვინის სიმსივნე, ანაპლაზური ასტროციტომა - დაფინანსდა ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში; რადიოთერაპია საზღვარგარეთ.	7 522 ლარი; 15 000 აშშ დოლარი	5 138 ლარი; 15 000 აშშ დოლარი (თურქეთი)

62	7	მამრ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - პაციენტის კრიტიკული მდგომარეობის გამო დაფინანსდა პაციენტის რეანიმაციით გადაყვანა საზღვარგარეთ, ასევე დიაგნოსტიკა, ნეიროქირურგიული ოპერაცია და ოპერაციის შემდგომი ინტენსიური თერაპია. ინტენსიური ჰოსპიტალური მკურნალობა და ანტიმიკოზური ძვირადღირებული მედიკამენტები დაფინანსდა საქართველოში.	398 055 აშშ დოლარი; 42413 ლარი;	203 855 აშშ დოლარი (თურქეთი); 22824 ლარი (საქართველო)
63	7	მამრ.	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა მარცხენა ყბაყურა ჯირკვლის პროექციაზე - დაფინანსდა რადიოთერაპია საზღვარგარეთ; ქიმიოთერაპია და დიაგნოსტიკა საქართველოში.	15 820 ევრო; 67 914 ლარი	15 820 ევრო (თურქეთი) 43 779 ლარი (საქართველო)
64	7	მამრ.	პინეალური მიდამოს სიმსივნე - დაფინანსდა gamma knife-ით სიმსივნის ამოკვეთა.	6 500 ევრო	6500 ევრო (თურქეთი)
65	7	მამრ.	პილოცისტური ასტროციტომა - დაფინანსდა რადიოთერაპია (CyberKnife) საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში.	9 440 ევრო, 5 600 აშშ დოლარი და 1755 ლარი	8 440 ევრო, 5 600 აშშ დოლარი (თურქეთი) 1084 ლარი (საქართველო)
66	7	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა რადიოთერაპია საზღვარგარეთ; რადიოლოგიური კვლევები დაფინანსდა საქართველოში.	15 000 აშშ დოლარი; 835 ლარი	15 000 აშშ დოლარი (თურქეთი); 835 ლარი (საქართველო)
67	7	მამრ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა ნეიროქირურგიული ოპერაცია, რადიოლოგიური კვლევა და რადიოთერაპია საზღვარგარეთ. საზღვარგარეთ გამოკვლევებისთვის დაფინანსდა მასალის ტრანსპორტირება	35 500 აშშ დოლარი; 5 055 ლარი	30 500 აშშ დოლარი (თურქეთი); 1 868 ლარი (საქართველო)
68	7	მდედ.	თავის ტვინის სიმსივნე - პაციენტმა ოჯახის სახსრებით ჩაიტარა ქირურგიული ოპერაცია საზღვარგარეთ, ფონდის მიერ დაფინანსდა რადიოთერაპია საზღვარგარეთ	19 000 ევრო; 5747 ლარი	19 000 ევრო; (თურქეთი); 2500 ლარი (საქართველო)
69	7	მამრ.	ღვიძლის სიმსივნე დაუზუსტებელი - დაფინანსდა ღვიძლის ტრანსპლანტაცია.	80 000 აშშ დოლარი	60 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
70	7	მდედ.	არაჰოჯკინის ლიმფომა - დაფინანსდა ტრანსპლანტაციის წინა ქიმიოთერაპია ასევე ანტიფუნგალური მედიკამენტი საზღვარგარეთ. საქართველოში დაფინანსდა რადიოლოგიური კვლევა და ბიოფსია.	34 550 აშშ დოლარი 5 410 ლარი	34 550 აშშ დოლარი (თურქეთი); 5210 ლარი (საქართველო)
71	7	მამრ.	უცნობი ქცევის სიმსივნე - დაფინანსდა მასალის ტრანსპორტირება გერმანიის კლინიკაში	50 აშშ დოლარი	50 აშშ დოლარი (გერმანია)
72	7	მდედ.	მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია - ბავშვის მშობლის გადაწყვეტილებით არ ჩაუტარდა საქართველოში ქიმიოთერაპია, ვინაიდან დაგვიანებული მკურნალობის გამო ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში იყო ფონდმა დააფინანსა ქიმიოთერაპიის კურსი საზღვარგარეთ	30 000 აშშ დოლარი	25 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
73	7	მამრ.	ჰოჯკინის ლიმფომა; დაფინანსდა მასალის ტრანსპორტირება დიაგნოსტიკისთვის საზღვარგარეთ	50 აშშ დოლარი	50 აშშ დოლარი (გერმანია)
74	8	მამრ.	თავის ტვინის პარაკუჭების ავთვისებიანი სიმსივნე - დაფინანსდა სხვიური თერაპია საზღვარგარეთ და ქიმიოთერაპია საქართველოში.	11 030 ევრო და 11 507 ლარი	11 030 ევრო (თურქეთი) და 6 377 ლარი (საქართველო)
75	8	მამრ.	უცნობი წარმოშობის ცხელება - დაფინანსდა დიაგნოსტიკა, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია.	170 000 ევრო	62 130 ევრო (გერმანია)
76	8	მამრ.	იუვენილური ანგიოფიბრომა დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია და რადიოთერაპია საზღვარგარეთ.	37 300 აშშ დოლარი	34 550 აშშ დოლარი (თურქეთი)
77	8	მდედ.	თავის ტვინის სიმსივნე - დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია	20 000 ევრო	7640 ევრო (გერმანია)
78	9	მამრ.	მიასთენია გრავის, სავარაუდოდ თიომომა - დაფინანსდა მკერდუკანა ჯირკვლის ქირურგიული დიაგნოსტიკური ოპერაცია (თიმექტომია) მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით. თავდაპირველად ბავშვის დიაგნოსტიკა დაფინანსდა თურქეთში, მაგრამ ანტიბიოტიკების მაღალი ტიტრის გამო მოხდა დამატებითი დიაგნოსტიკური სერვისის მოძიება ისრაელში. პაციენტს დაუფინანსდა ასევე მგზავრობის საფასური.	35 490 აშშ დოლარი და 970 ლარი	28 072 აშშ დოლარი და 1000 ევრო (თურქეთი და ისრაელი), 970 ლარი (საქართველო)

79	9	მდედ.	ზურგის ტვინის სიმსივნე. დაფინანსდა ქირურგიული ოპერაცია, რისი გაკეთებაც საქართველოში ვერ მოხერხდა	15 000 ევრო	9 827 ევრო (გერმანია)
80	9	მდედ.	ინტესტინალური სისხლდენა დაუზუსტებელი - დაფინანსდა დიაგნოსტიკა საზღვარგარეთ	4460 აშშ დოლარი	3 460 აშშ დოლარი (თურქეთი)
81	9	მდედ.	ლიმფობლასტური ლეიკემია - დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია	75000 აშშ დოლარი	60 000 აშშ დოლარი (თურქეთი)
82	10	მამრ. შშ	მწვავე პრომიელოციტური ლეიკემია - პაციენტი იმყოფება იტალიაში ქალაქ ვერონის კლინიკაში, 2014 წელს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ემზადებოდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისათვის, სოლიდარობის ფონდის მიერ დაფინანსდა დონორის მოსაძიებლად დამატებითი თანხა.	105 000 ევრო	30 000 ევრო (იტალია)
83	10	მდედ.	მწვავე მიელოიდური ლეიკემია, დაუზუსტებელი დიაგნოზი - პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის გამო, დაავადების ზუსტი მორფოლოგიური ტიპის განსაზღვრის და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევის მიზნით, ექსპერტების რეკომენდაციით დაფინანსდა დიაგნოსტიკა თურქეთში, თუმცა კვლავ ვერ დადგინდა დიაგნოზი და პაციენტის დიაგნოსტიკა შსს სამინისტროს თანა-დაფინანსებით გაგრძელდა გერმანიაში. გერმანიაში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო, საგანგებო რეჟიმში დაფინანსდა ბავშვის ინტენსიური მკურნალობის ეტაპი.	55 000 აშშ დოლარი და 135 000 ევრო	30 000 აშშ დოლარი (თურქეთი) და 81 422 ევრო (გერმანია)
